№ 54

პარასკევი, 15 აპრილი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 54

პარასკევი, 15 აპრილი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივ სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

შემდეგი ნომერი გამოვა აღდგომას, 17 აპრილს.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილიდან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ქართული წარმოდგენა. ვეტცელის თეატრი.

სამშაბათს, 19 აპრილს, 1905 წ.

ქართულ დრამატიულ დასის-მიერ წარმოდგენილი იქნება

შრომის ლუკმა.

კომედია 4 მოქმ. ოსტროვსკისა, თარ. ი. ევდოშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ტ. აბაშიძე, ნ. დავითიშვილი, ვ. ნებიერიძე, ნ. ჯავახოვისა; ბ.ბ. ვ. აბაშიძე, ს. სვიმონიძე, ი. ივანიძე, ა. იმედაშვილი, ზ. საფაროვი, მ. იორდანიშვილი და სხვა.

ანტრაქტებში **ბ-ნ კავსაძის** ლოტბარობით ქართული **ხორო** შეასრულებს რამდენსამე სიმღერას.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

გამგენი: ზ. საფაროვი და ბ. ბეგლარიძე.

(3—2)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—10½ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა 12½ 1½ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ქიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ნ.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ფ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა,

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშნულით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

გამგეობა ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა I ამხანაგობისა აუწყებს ამ ამხანაგობის წევრთ, რომ **გაგრძელება აპრილის კრებისა** დანიშნულია 21 აპრილისათვის, დილის 10 საათიდან, სოფ. კუხში. 1—1

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8 საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

13 აპრილი.

ყაზანი, 12 აპრილი. საბჭოს ახლად ამორჩეული ხმოსნები დაიფიცეს. გამოცხადდა მხოლოდ 39. ამიტომ ქალაქის მოურავის არჩევნები ვერ შესდგა. ქალაქის მოურავის მოადგილემ წაიკითხა 24 ხმოსნის განცხადება, რომლითაც ისინი ხმოსნობაზე უარს აცხადებენ და ახალ არჩევნებს თხოულობენ, და განაცხადა, ხმოსანთა სიცოტავის გამო, საბჭო ვერ შესდგებაო.

კიევი, 13 აპრილი. საგუბერნიო საქმეთა საკრებულომ გააუქმა საბჭოს დადგენილებანი პოლიციის შესანახად ხარჯებიდან განთავისუფლებისა და პოლიციის ნაწილებისთვის წყალის დათმობის შესახებ, გააუქმა აგრეთვე დადგენილება საგანგებო კომისიის არჩევის შესახებ, რომელსაც უნდა ეშუამდგომლა სახელმწიფო წეს-წყობილებისა და ხალხის კეთილმყოფობის გაუმჯობესობაზე.

პეტერბურგი, 12 აპრილი. გარდაცვალებულ ლესსარის მაგიერად პეკინში ელჩად დაინიშნა რუსეთ-ჩინეთის ბანკის დირექტორი პოკატილოვი, რომელიც კარგად იცნობს იქაურობას და რომელსაც პატივს სცემს ადგილობრივი მთავრობაც.

პარიზი, 13 აპრილი. მეფე ედუარდი ჩამოვა შაბათს. კვირას ლუბე მის პატივსაცემლად სადილს ჰმართავს.

კანეა, 13 აპრილი. აჯანყებულებმა შეატყობინეს უცხოელ კონსულებს, წინააღმდეგობას გავუწევთ უცხო სახელმწიფოთა ჯარებსო. ინგლისის გემი „ვენუსი“ სდარაჯობს ნაპირებს, ზოგიერთ მნიშვნელოვან ადგილის ნაპირებზე სდგას უცხო სახელმწიფოთა ჯარები.

თემირ-ხან-შურა, 13 აპრილი. დაღესტნის ცხენოსან ჯარის ერთი რაზმი ხოლერის მოლოდინის გამო იგზავნება სათევზაო ადგილების დასაცველად. ქალაქი მუშებისათვის ფარდულებს ამზადებს.

ვიატკა, 13 აპრილი. საბჭომ შინაგან საქმეთა მინისტრთან შუამდგომლობა აღძრა იმაზე, რომ დაუყოვნებლივ იყოს გამოცემული კანონი სიტყვის, პრესის, პიროვნების, სვინიდისის და კრების თავისუფლების შესახებ.

პეტერბურგი, 13 აპრილი. გუშინ ცარსკოე სელოდან საზღვარ-გარედ წავიდა პრინცესა, ირენა პრუსიელი. სადგურზე გააცილეს იგი ხელმწიფემ, დედოფალმა და ამალამ.

ბერლინი, 13 აპრილი. გახშირდა მენინგიტის ავადმყოფობა.

ათინა, 13 აპრილი. კრიტოსის პარლამენტმა გადასწყვიტა მოითხოვოს უთუოდ, რომ კუნძული შეუერთდეს საბერძნეთს. საპარლამენტო ჯგუფების დელეგატები შეაიარაღებულ აჯანყებულებთან შეთანხმდნენ.

ლონდონი, 13 აპრილი. გაზ. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი იტყობინება ტანჟერიდან, გერმანიის აქაურმა ელჩმა ნოემბრის დამდეგს საფრანგეთის ელჩს განუცხადა,—გერმანიას არავითარი ცნობა არ მიუღია ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულობის შესახებ და ამიტომ შემდეგ ინგლისი ამ ხელშეკრულობას არ მიაქცევს ყურადღებასო. საფრანგეთის ელჩმა ამაზე არ გასცა პასუხი, მაგრამ გერმანიის ელჩმა განმეორებით უთხრა, ჩვენ მიმართულებას არ გადვუხვევთო. ამიტომ შეცდომაა, თუ ამბობს რუვიე,—გერმანიის ახალ პოლიტიკას მუქდენის ბრძოლა გაუხდა მიზეზადო. „დეილის“ ცნობით, ინგლისის გემის „კალხასისაგან“ დინტინგის კუნძულთან შემჩნეული ორი ჯავშნიანი გემი და ორი კრეისერი,—ინგლისის გემები იყო და არა რუსეთისა.

სტამბოლი, 13 აპრილი. მიღებულია ცნობა, სალონიკში დიდძალი თოფის წამალი და ყუმბარები არის შემოტანილიო,—პოლიციამ აღმოაჩინა, რომ მაკედონიაში მრავლად ავრცელებენ პროკლამაციებს ხალხის ასაჯანყებლად. ამბობენ, ბოლგარიის მთავრობა აჯანყებულებს დახმარებას აღმოუჩენსო, ოსმალეთს არ შეუშინდება და კიდეც გაიმარჯვებს, ვინაიდან ოსმალეთში ჯარის მობილიზაცია გაჭიანურდება და ჯარის გადაყვან-გადმოყვანაც ძნელია. სოფლელები თავს ანებებენ მუშაობას და აჯანყებულებს უერთდებიან.

რომი. საბჭომ ერთხმად დაადგინა, შეუცვლელად დარჩეს კრიტოსში არსებული წესწყობილება. გარეშე სახელმწიფოთა წარმომადგენელი კრიტოსის საბერძნეთთან შეერთებას ნაადრევად მიაჩნიათ. ეს გადაწყვეტილება გარეშე სახელმწიფოებისა მეფის ძე გიორგისა და დროებით მთავრობას უნდა ეცნობოს.

ქრისტიანია.—კრონპრინცმა წინადადება შეიტანა, განაახლონ უნიას შესახები მოლაპარაკება, მაგრამ ნორვეგიის მთავრობა უარზეა, ვიდრე ნორვეგიის საელჩოები არ დაარსდებაო. სტორტინგმა პროექტის შესამუშავებლად განსაკუთრებული კომიტეტი დანიშნა. როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, უეჭველივე მოლაპარაკება უნაყოფოდ ჩაივლის და ხელს შეუშლის იმ უდიდესი საკითხის განხორციელებას, რომელიც ნორვეგიას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, კანონით ეკუთვნის. ამ რეფორმას ნორვეგიის ეკონომიურად განვითარება მოითხოვს. საპირო მოლაპარაკება იყოს ცხადი და გაბედული, რადგან ნაძალადევ უნიას კი არა, არამედ ურთიერთ შორის ნდობასა და სიყვარულს შეუძლია ორი ერის კეთილდღეობა სასურველ ნიადაგზე დაამყაროს.

ყაზანი.—საბჭოს პირველ სხდომაზე, რომელიც ქალაქის მოურავის ამოსარჩევად იყო მოწვეული, ფიცის მისაღებად მხოლოდ 44 ხმოსანი გამოცხადდა. ქალაქის მოურავის მოადგილემ გრაუერტმა გამოუცხადა, რომ ქალაქის მოურავი, ხმოსანი მატვეევსკი და კიდევ შვიდი სხვა ხმოსანი, საბჭოს უფლებების შეზღუდვის გამო, თავიანთ თანამდებობაზე უარს აცხადებენო. კორიაკინმა წაიკითხა 15 ხმოსნის განცხადება, რომლითაც თხოულობენ: უმაღლესის ნებართვით მოწვეულ იქმნეს ახალი კრება და ნება მიეცეს პირველ სამ კრებაზე გამვებულთ ნება მიეცეთ კენჭი ხელ-ახლა იყარონ. წინააღმდეგ შემთხვევაში 15 კაცი ხმოსნობაზე უარს აცხადებს, რადგან მცირე რიცხვოვან საბჭოს არ შეუძლია რიგიანად განაგოს ქალაქის საქმეები. შემდეგ გრაუერტმა განაცხადა, რომ ის ხმოსნები, რომელთაც განცხადებებზე ხელი უწერიათ, ცხადია, საქმეების გარჩევაში არავითარ მონაწილეობას არ მიიღებენ, ამიტომ შეუძლებლად სცნობს სხდომის დაწყებას. ხმოსნებმა გრაუერტის მოქმედებას პროტესტი გამოუცხადეს და შეადგინეს საჩივარი. საჩივარზე ხელი მხოლოდ 18 მოაწერა.

მინსკი, 13 აპრილი. საბჭოს მიერ არჩეულს დეპუტაციას მცხოვრებთა დასამშვიდებლად მისაღებ ზომების შესახებ, გუბერნატორთან საუბარი ჰქონდა. გუბერნატორის აზრით, უწესოებების შესახებ გავრცელებულს ხმებს ნიადაგი არა აქვს და დაარწმუნა, უწესოების ჩასაქრობად ზომებს დაუყოვნებლივ მივიღებო.

ყაზანი, 13 აპრილი. „ვოლჟსკი ლისტოკი“ ამბობს, რადგანაც უმაღლესს სასწავლებლებში ლექციების კითხვა შესწყდა, სტუდენტები საზღვარ-გარედ მიდიან გაზაფხულის სემესტრის ლექციების მოსასმენადო.

ოდესსა, 13 აპრილი. გემების მატროსებისა და გემთა საზოგადოებათა შორის ჯამაგირების მომატების შესახებ მომხდარი უთანხმოება თანდათან მწვავდება. საზოგადოებანი არ უთმობენ მატროსებს და ყირიმისა და საზღვარ-გარედ მოსიარულე გემების გაჩერებას აპირებენ. უწესოებები არა ხდება. ნიკოლაევს და ხერსონს შუა სწორი მიმოსვლაა.

როსტოვი-დონზე, 13 აპრილი. ტექნიკურ საზოგადოების დონის განყოფილების კრებაზე ყველა დარგის ინჟინერთა კავშირის დაარსების შესახებ საკითხი აღიძრა. ინჟინერთა უმრავლესობა ამ საკითხს თანაუგრძნობს.

მოსკოვი, 13 აპრილი. მებულქეების კრება იყო. კრებას დაესწრო 105 კაცი. არჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც მუშების უქმე დღეებში დასვენების შესახებ თავისი აზრა უნდა გამოსთქვას და მუშებსა და პატრონთ შორის დამოკიდებულება მოაწესრიგოს.

ვენა, 13 აპრილი. ვენეციაში ავსტრიისა და იტალიის მინისტრთა შეხვედრას დაესწრებიან ავსტრიის ელჩი რომში—ლიუტცოვი და იტალიის ელჩი ვენაში, ავარნა.

სტამბოლი, 13 აპრილი. დიდ-სახელმწიფოთა საელჩოებმა პორტას ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ ზაგორიჩინში ბერძენთა ჩეტებისაგან ძარცვა-გლეჯა და მკვლელობები ხდება. დიდმა ვეზირმა გენერალ ინსპექტორს ჰილმი-ფაშას უბრძანა, მონასტერს გამოსაძიებლად წავიდეს. ზაგორიჩინში მომხდარი ამბები პორტამ საელჩოებს შეატყობინა. ოსმალეთის ჯარები ზაგორიჩინში ძარცვა-გლეჯისა და მკვლელობათა ჩამდენ ბერძენთა ჩეტას ბეჯითად სდევნიან. ჩემენის უმთავრეს ადგილამდე მიმოსვლა შეწყვეტილია. მარშალ რიზა-ფაშის საექსპედიციო რაზმის შესახებ არავითარი ცნობა არ არის. ის ხმები, ვითომ მას აჯანყებულები შემოერტყნენო, არა მართლდება. გაქცეულ აურიფისა და აგრეთვე სულთანის ადიუტანტის ახმედ-მექეთა-ფაშის მოსაყვანად წასულნი მუსტაფა-ბეგი და ამისი შვილი დღეს დაბრუნდნენ და მოწმობდნენ, გაქცეულები თავდაპირით იქცევიანო.

მოსკოვი, 13 აპრილი. ბეჭდვითი საქმეთა უმთავრეს გამგეობის უფროსმა მიიღო მოსკოვის ჟურნალ-გაზეთების ყველა რედაქტორი. მოსკოვში პეტერბურგიდან იქაურ გაზეთების თანამშრომლები იქ ახლად მოწყობილ საპოლიტიკო დასების გასაცნობად ჩავიდნენ.

პეტერბურგი, 13 აპრილი. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორობა ისპობა, რჩება გრადონაჩალნიკობა. პუტილოვის ქარხნის ყველა მუშამ ქარხნის ადმინისტრაციას ხელწერილი მისცა, რომ მეტს არაფერს მოითხოვენ მისგან და აღარ მოახდენენ გაფიცვას. ამიტომ გამგეობამ გადასწყვიტა, აღარ დახუროს ქარხანა. განმარტებულია, რომ ავიცერთა ეკონომიურ საზოგადოებას მანჯურიაში არ შეუძლია გაგზავნოს უბაჟოდ სიგარები, ძვირფასი ღვინოები და სასმელები. გუშინ დასრულდა საფაბრიკო უფროს ინსპექტორების კრება, რომელსაც უნდა გაერკვია მუშათა მდგომარეობა. კრებამ სასურველად სცნო მუშათა შეკავშირება.

როსტოვი-დონზე. ვალიანოს ვალებში მანათში ექვსი შაური შეაძლიეს, კრედიტორები ათ შაურს ითხოვენ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

13 აპრილი.

ბერლინი, 13 აპრილი, საიგონიდან მოსული ცნობა ჰავასისა, ვითომ კრეისერ „დიანა“-ს მატროსები როჟესტვენსკისთან გადასულიყვნენ, ტყუილია. ამას მოწმობს ის სასტიკი ზომები, რომლებიც ნეიტრალიტეტის დასაცველად საიგონში მიღებულია. ყოველ დღე სთვლიან „დიანა“-ს მატროსებს და ატყობინებენ ნავთ-სადგურის უფროსს. რამდენიმე ავადმყოფის გარდა, ყველა მატროსი კრეისერზეა.

ჭანჭავაძი, 13 აპრილი. ჩვენმა მოწინავე რაზმებმა მთელ ფრონტზე ძალიან წინ წაიწიეს, მტრის რაზმები სამხრეთისაკენ იხევენ. აბრამოვის ცხენოსანმა ჯარმა მტერს უკან დაახევინა. ტუმაკოვის რაზმმა სოფელ ვეიტუმიდან განდევნა იაპონელთა ბატალიონ-ნახევარი ქვეითი ჯარი, 4 ესკადრონი და სამთო ბატარეა. მშვენიერი დარი სდგას. ჯარი სადღესასწაულოდ ემზადება.

ტოკიო, 13 აპრილი. რუსების ხუთმა ბატალიონმა, 16 ესკადრონმა და ერთმა ბატარეამ იერიში 11 აპრილს კაიაუიანს ახლო მიიტანა იაპონელებზე. რუსებმა იაპონელების ცხენოსან რაზმს დაახევინეს. შემდეგ იაპონელებმა თვითონ მიიტანეს იერიში რუსებზე და ჩრდილოეთისკენ დაახევინეს. იაპონელებს 38 კაცი მოუკლეს. რუსების 6 ბატალიონმა და 16 ესკადრონმა ჩალტუნუს მახლობლად მიიტანა იერიში იაპონელებზე, მეორე ადგილს რუსების 12 ესკადრონმა და ერთმა ბატარეამ ოიაოტაძიზე მიიტანა იერიში. ორივე იერიში მოიგერეს იაპონელებმა.

პეკინი, 13 აპრილი. პოკატილოვის რუსის ელჩად დანიშვნას თანაგრძნობით მიეგებნენ. პოკატილოვი დიდი ხნის გამოცდილი კაცია და მთავრობის პატივის ცემაც დამსახურებული აქვს.

ტოკიო, 13 აპრილი (რეიტერი). გადასწყვიტეს, მთელი ფორმოზა სამხედრო ფეხზე დააყენონ.

ტაშკენტი, 13 აპრილი. „თურქესტანის უწყებები“ ამბობენ, ჩინეთის ორი დივიზია კუდჯუში მიდისო. სხვა წყაროების მოწმობით, ავღანის გარნიზონებიც გაძლიერებულ იქმნენ, გერათში მორტირის ბატარეა მოიტანესო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-2 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ადმ. ტოგოსი და როჟესტვენსკის ესკადრები. საინტერესო და საკვირველია, რომ დღემდის დანამდვილებით ვერ გამოუკვლევიათ, ვისი ფლოტი უფრო ძლიერია, ადმ. ტოგოსი თუ როჟესტვენსკისა. ინგ. ადმირალები ვილუა და კოლომბა და ზოგიერთი გაზეთი ამტკიცებენ, როჟესტვენსკის ესკადრა გაცილებით ძლიერია ტოგოს ესკადრაზეო. უმეტესობა კი, პირიქით, ამტკიცებს, ტოგოს ესკადრა უფრო ძლიერიაო. რუსეთის ფლოტის ცნობილი კაპიტანი კლადო ასე ანგარიშობს ტოგოსი და როჟესტვენსკის ესკადრების ძალას (ნაღმოსნებს გარდა):

	როჟესტვენსკის ესკადრა.	ტოგოს ესკადრა.
გემების რიცხვი	15 გემი	33 გემი.
ამ გემ. წყალწყვა	120,200 ტონნა.	216,000 ტონ.
ზარბაზნები	703	941
მათ შორის დიდ ყალიბიანი	36	63
საშუალო ყალიბისა	115	214
მცირე ყალიბიანი	552	664
სანაღმო აპარატები	54	125
მათ შორის წყლის ქვეშ მოწყობილი	14	52
მეზღვაურთა რიცხვი	8521 კაცი	14435 კაცი,

თუ ამ ცხრილს დავაკვირდებით, გამოვა, რომ რუსეთის ესკადრა გაცილებით სუსტია ტოგოს ესკადრაზე. ნამდვილად კი შემდეგი ცხრილი გვიმტკიცებს, რომ რუსეთის ესკადრა არც ისე სუსტია, როგორც ზემოდ მოყვანილ ცხრილიდან სჩანს. აი, მეორე ცხრილიც: რუსეთის ესკადრა:

საესკადრო ჯავშნოსნები	დიდ ყალიბიანი ზარბაზნები მათზე.
„კნიაზ სუვოროვ“-ი, „იმპ. ალექსანდრ III“ „ბოროდინო“ და „ორიოლ“.	თითოზე ოთხ-ოთხი 12 დუიმიანი.
„ოსლიაბა“.	ოთხი 10 დუიმიანი.
„ნავარინ“-ი და „სისოი ველიკი“	თითოზე ოთხ-ოთხი 12 დუიმ.
ჯავშნიანი კრეისერები:	
„ადმირალ ნახიმოვ“-ი და „დიმიტრი დონსკოი“.	თითოზე 8 დუიმიანი.

სულ 24 თორმეტ დუიმიანი, 4 ათ დუიმ. და 8 რვა დუიმ.

იაპონიის ესკადრა:

„ასახი“ „მიკაზა“ „შიკიშიმა“ „იაშიმა“ „ფუჯი“ „ჩინ-იენ-“ი.	თითოზე ოთხ-ოთხი 12 დუიმიანი.
ჯავშნიანი კრისერები:	
„აზამა“ „იძუმო“ „ივატე“ „იზუმა“ „ტოკივა“ „იაკუმო“	თითოზე ოთხ-ოთხი 8 დუიმიანი.

„ნისსინ“ ერთი 10 დუიმიანი და ორი 8 დუიმიანი.

„კასსუგა“ ოთხი 8 დუიმიანი.

სულ 24 თორმეტ დუიმიანი, 1 ათ დუიმიანი და 30 რვა დუიმიანი.

ამრიგად ტოგოსა და როჟესტვენსკისაც 12 დუიმიანი ზარბაზნები თანასწორი აქვთ (თითოს 24), ათ დუიმიანი როჟესტვენსკის მეტი აქვს (როჟ. 4 ათ დუიმ. ტოგოს კი 1). სამაგიეროდ 8 დუიმიანი ზარბაზანი ტოგოს როჟესტვენსკიზე გაცილებით მეტი აქვს (ტოგოს—30, როჟესვენსკის—8). ამრიგად, თუ ბრძოლა ძალიან დიდ მანძილზე მოხდა (10 ვერსზე), რუსებიცა და იაპონელებიც თანასწორნი იქნებიან, თუ უფრო ახლო (7—8 ვერსზე), რუსები ძლიერნი იქნებიან და, თუ სულ ახლო (5—6 ვ.), ტოგო როჟესტვენსკის სულ დასჯაბნის («ს. ო.»).

ახალი ამბავი

- „რუს. ვედ.“-ის სიტყვით, რუსეთის განთქმულმა მწერალმა **ლ. ნ. ტოლსტოიმ გურულებს თავისი გულითადი** თანაგრძნობა გამოუცხადა. გურულებისადმი მიწერილ წერილში ლ. ტოლსტოი სწერს, რასაც მე ოცი წლის განმავლობაში ვქადაგებდი, ახლა გურულები ასრულებენო.
- სოფ. ანაგიდან (სიღნაღის მაზრა) გვატყობინებენ, ამ დღეებში **იქ დაუპატიმრებიათ** ინტელიგენტი **რომანოზ ახმეტელაშვილი** და ზეინკალი **ნიკოლოოზ ახმეტელაშვილი.**
- იმ ორასი თუმნიდან, რომელიც ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უწყებისათვის გადაიდვა, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელეებს **ზოგს 2 ზოგს 3 და ზოგს კიდევ მანათ-ნახევარი რგებია.** სააღდგომოდ სტოროჟებსაც ვერ შეჰკადრებ ამნაირ საჩუქარს.
- უსახელო საზოგადოების გამგეობამ გუშინ, 14 აპრილს, **გადაწყვეტით გამოუცხადა გაფიცულ მოსამსახურეთ,** რაც დაგითმეთ—იმაზე მეტს კაპეიკსაც ვერ მოგიმატებთო. ამ მომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებით ჩვენის საერთო შემოსავლის 10 % ვკარგავთ და კიდევ რომ დავითმოთ, ოჯახი ვერ აიტანსო!..

◆ სომხის ახალგაზრდობის ერთ ნაწილს განუზრახავს გამოსცეს **ახალი ყოველკვირეული სომხური ჟურნალი** თავის აზრების ხალხში გასავრცელებლად და თანამედროვე მწვავე კითხვების გასარკვევადაც. ახლანდელი სომხური პრესსა ვერ აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას და მხოლოდ ერთ მცირე ჯგუფის ინტერესებს ემსახურება. ამ ჟურნალს უნდა დაერქვას სახელი «კაიჩნაკ».

◆ ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ **საგუბერნიო საპყრობილის გასაფართოებლად** გადასდო ორმოცდა-ხუთითუმანი.

◆ ტფილისის საიუნკერო სასწავლებლის უფროსს კლასის მოწაფეებს **აფიცრობას ჩვეულებრივზე ადრე მისცემენო**,—დაახლოვებით, ამ თვის გასულს.

◆ ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის ახლად დანიშნული გამგე **ქ-ნი თავდგირიძისა** ქუთაისიდან ტფილისში აღდგომის შემდეგ მოელიან.

◆ სოფ. ცხინვალში ზ. ნ. ოვანოვის მამულში ხეხილები, ვაზები და ლობეები გადაუწვავთ.

◆ კავკასიის **ექიმთა მესამე კრება**, ექიმთა საზოგადოების დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, **აღარ შესდგება**.

◆ დუშეთიდან გვატყობინებენ, ახალგორიდან გაყვანილი ჯარი ამ დღეებში კვალად **ახალგორს გაიგზავნაო**.

◆ რადგანაც მეეტლეთა მოთხოვნილებანი ქალაქის საბჭოს-მიერ დაკმაყოფილებულ არ იქმნა, **მეეტლენი გაფიცვას აპირობენო**.

◆ აღდგომის შემდეგ ტფილისის გუბერნიის **დასავლელად იგზავნება აგრონომი სააკოვი**, რომელმაც ზომები უნდა მიიღოს კალიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

◆ **გორის ხიდის ახლად ასაგებად** საგუბერნიო სამმართველოს 107 **ათასი მანათი გადაუდვია**. ხიდს სიგძით 50 საჟენი ექმნება. როგორც კი წყალი იკლებს, მუშაობას შეუდგებიან.

◆ ქალაქის მოურავმა შემდეგი საპასუხო დეპეშა **მიიღო მეფის ნაცვლის თანაშემწის სულთან კრიმ-გირეისაგან**: „გულითად გმადლობთ თქვენ და პატივცემულ ხმოსნებს მოლოცვისათვის. ტფილისის საბჭოს მოლოცვამ ძლიერ გამახარა, რადგან მე მას განსაკუთრებით პატივს ვსცემ. თქვენთან ერთად მრწამს საზოგადო ძალების შემოქმედებითი ნიჭი“.

◆ საგუბერნიო საამშენებლო განყოფილების წინაშე ბევრმა **მოიჯარადრემ შუამდგომლობა აღძრა** ნავთლუღსა და ძაღლის-უბანს შუა აგურხანების გამართვისა. განიხილა-რა ეს თხოვნები გუბერნიის ინჟენერმა, დაადგინა, წინააღმდეგი არა ვარ ამ ქარხნების აგებისა, მაგრამ ძლიერ დააუშნოებს ქალაქის შენობებს და თვით ამ უბნის ქუჩებსაცო.

◆ ახალ სისტემის ფარნების მოიჯარადრემ ბ-ნმა დ. გურამიშვილმა ქალაქს სთხოვა, **ხელშეკრულების მეთხუთმეტე მუხლი შემიცვალეთო**. ვინიცობაა, ბოროტის აზრით ან აღელვებულ ხალხის წყალობით ჩემ ფარნებს ზიანი მოუვიდა, პასუხის გებისაგან გამანთავისუფლეთო. გამგეობამ ეს თხოვნა შეიწყნარა.

◆ ქალაქის გამგეობას წევრის თ-დ ვ. ნ. **ჩერქეზიშვილის შუამდგომლობისა გამო**, ღამის თავშესაფარებს სააღდგომოდ თითოეულს 80 მანათი მიეცემა.

◆ გაზ. „მშაკ“ **ჯულფიდან (რუსეთისა და სპარსეთის საზღვარი)** ატყობინებენ, რომ მომავალ ზამთრიდან დაიწყება საქონლის მატარებლების მიმოსვლა. გზის კეთება ბეჯითად წარმოებს.

◆ მივიღეთ **„არარატის“** მარტის № 3, 1905 წლისა.

◆ 6 აპრილს, **ირკუტსკის სამოსამართლო პალატამ განიხილა** იაკუტსკის ოლქის სასამართლოს განაჩენი, 30 **პოლიტიკურ დამნაშავის საქმის შესახებ**,—რომელთაც 12 წლის კატორღა ჰქონდათ გადაწყვეტილი. ბრალდებულთ შორის 3 ქართველია: დობროგენიძე (?), გარონიძე და ცენტერაძე. სასამართლომ ოლქის სასამართლოს დადგენილება გააუქმა და ყველას ორი წლის ციხე გარდაუწყვიტა (ს. ოტ.).

◆ თელავიდან გვატყობინებენ: საუფლისწულო მამულების გამგეს ბ-ნ ჯაფარიძეს, ეტლით მიმავალს, თავს დასცემიან, დაუჭრიათ და ერთი ცხენიც მოუკლავთ.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელ პირველ ახალ ამბავში შეცდომით დაბეჭდილია: 17 აპრილს, **ნაშუადღევის 12 საათიდან“**... უნდა იყოს: „16 აპრილს, 12 საათიდან“ და სხვ.

* * *

ტფილისის პედაგოგთა კრება

13 აპრილს სამეურნეო საზოგადოების დარბაზში **ტფილისის პედაგოგთა კრება მოხდა**. თავმჯდომარედ აირჩიეს არ. ბაბოვი, რომელმაც მოკლედ აუწყა კრებას რუსეთის სასწავლებლების მდგომარეობა და წაიკითხა რამდენიმე რეზოლუცია რუსეთის მასწავლებლებისა და პროფესორებისა. შემდეგ ვრცელი, მშვენივრად დასაბუთებული და შემუშავებული მოხსენება წაიკითხა ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა ცვეტნიცკიმ, რომელმაც საუცხოვოდ დაახასიათა სკოლის თანამედროვე სისტემა, საერო განათლების სამინისტრო და პედაგოგები. ცვეტნიცკის შემდეგ ილაპარაკეს სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორმა ჩიტაძემ და იმავე სკოლის მასწავლებელმა რატიშვილმა. ორივემ საერთოდ რუსეთისა და კერძოდ ქართულ სკოლის სისტემა და რეჟიმი განიხილეს და ის აზრი გამოსთქვეს, რომ სკოლის მოწყობა მჭიდროდ არის დამოკიდებული სახელმწიფოს საერთო პოლიტიკურ წესწყობილების შეცვლასთან. შემდეგ ილაპარაკა რამდენმამე სტუდენტმა, რომელთაც პედაგოგები გაჰკიცხეს, დაჰგმეს—მონები და მშიშრები უწოდეს. ცვეტნიცკი თავს იმართლებდა, მაგრამ ბრალმდებლებმა უთხრეს, ეს ბრალდება თქვენ კი არ შეგეხებათ, არამედ აქაურ პედაგოგებს, რომელთაც აქ მოსვლა ვერ გაბედესო. ცვეტნიცკიმ აღნიშნა, რომ კრებაზე არ იყო არც ერთი საშუალო სასწავლებლის მასწავლებელი. „მე,—სთქვა ცვეტნიცკიმ,—ვხედავ მხოლოდ ქართველებს. რუსები სულ არ არიან და, თუ არის ორიოდე კაცი, ისინიც გაჩერებულან და ხმას არ იღებენ. ორი მშვენიერი და ძლიერი სიტყვა წარმოსთქვა ივ. რამიშვილმა, რომელმაც სამართლიანად გაჰკიცხა ტფილისის მშიშარა და მხდალი პედაგოგები. ბევრი კამათისა და ლაპარაკის შემდეგ კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო:

„ჩვენ, ტფილისის პედაგოგნი, დიდიხანია, ვატარებთ ბიუროკრატიულ რეჟიმის მძიმე უღელს, რომელიც ჩვენ და ჩვენთან ერთად ასი ათას მოზარდს ყმაწვილს პიროვნებას გვისპობდა. ეხლა, საყოველთაო აღორძინების დღეს, თამამად ვაცხადებთ, რომ მოთმინების ფიალა აივსო, აღარ ძალგვიძს ცხოვრება დამონავებულ ადამიანისა, რომლის გულსა და ფიქრს განაგებს ქაღალდი—ბრძანება, ეგრედ წოდებულ, საერო განათლების სამინისტროსი. ჩვენ ვთხოულობთ, რომ ახალთაობის წინაშე პასუხის-მგებელნი ჩვენვე ვიყოთ. ჩვენ ვთხოულობთ: გაგვანთავისუფლონ სამაგალითო პროგრამებისა და გეგმებისაგან, რომელსაც ჩვენ გვიგზავნიან და გვიხსნიან; გაგვანთავისუფლონ მზრუნველებისა, დირექტორებისა და ინსპექტორებისაგან, რომლებიც ჩვენ სულსა და გულში ხელებს აფათურებენ; გაგვანთავისუფლონ ბიუროკრატების მოცლილ ფანტაზიის ექვიანობისაგან. დეე, ჩვენ თავისუფალნი ვიყვნეთ ყრმათა აღზდის თავისუფალ და წმინდა საქმეში. ჯერ ჩვენ, პედაგოგებს, არ დაგვიკარგავს ხატება ღვთისა. რკინის მარწუხების მოხებით, ჯერ იმდენად არ დაგვხშობია აზროვნება, რომ აღარ შეგვეძლოს შთავბეროთ სული განახლებისა დღევანდელ უსიცოცხლო სკოლას. ჩვენ სულითა და გულითა გვწამს, რომ ვერავითარი რეფორმა, თუნდა ლიბერალურიც, ვერ შესძლებს თანამედროვე სკოლის ცხოველ-მყოფელობას, იგი ისევ ცოცხალ-მკვდრად დარჩება, რომლის დღენიც მუდამ დათვლილი იქნება. ამასთანავე, ჩვენ მტკიცედა გვწამს, რომ ძირითადი ცვლილებანი სკოლის საქმეში მარტოოდენ თავისუფალ რუსეთს შეუძლიან მიახდინოს, იმ რუსეთს, რომლის ბედიღბალიც ხელთ ექმნება რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნების თავისუფალ წარმომადგენლებს; ეს წარმომადგენლები არჩეულ უნდა იქმნენ დაფარულის, სწორისა, პირდაპირისა და საყოველთაო არჩევნების უფლებით; სკოლა მხოლოდ მაშინ გამოიღებს სასურველ ნაყოფს, როდესაც ყოვლად უზრუნველ-ყოფილი იქნება თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა, აგიტაციებისა და აგრეთვე დაცულ იქმნება, ხელშეუხებლობა პიროვნებისა და ბინისა, როდესაც დაბრუნებულ იქმნებიან სამშობლოში ყველა პოლიტიკურ საქმეთა გამო გაძევებულნი“.

საგულისხმო ის იყო, რომ ამ რეზოლუციაზე სახელმწიფო საშუალო სასწავლებლის არც ერთმა რუსმა პედაგოგმა ხელი არ მოაწერა (სამიოდე რუსი მასწავლებელი იყო, მაგრამ დროზე გაიპარნენ და თავს უშველეს). არც სომხები ჩანდნენ, იქნება, იყო რამდენიმე, მაგრამ ხმა არავის ამოუღია.

* * *

პრესსა

„მოგზაურის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია კორესპონდენცია ს. საგურამოდან გლეხების მოძრაობის შესახებ, რომელშიაც, სხვათა შორის, ამგვარად არის აწერილი თ. ილია ჭავჭავაძის განწყობილება ადგილობრივ გლეხებთან:

> საგურამოს საზოგადოების მცხოვრებლებმა ექვს მარტს თავი მოიყარეს და მოილაპარაკეს თავისს ჭირვარამზე, თავისს დაბეჩავებულ ცხოვრებაზე. ხალხმა გადაწყვიტა, „ბოიკოტი“ გამოუცხადოს აქაურ მემამულეებს: ილია ჭავჭავაძეს, გიგი სტაროსელსკის და ტატო ციციშვილს. კრებას 2000 მეტი კაცი და ქალი დაესწრო. მოილაპარაკეს თავიანთ ჭირ-ვარამზე, გათახსირებულ და მიწასთან გასწორებულ ცხოვრებაზე. ბევრი გულის გასაგმირი და სულის აღმაშფოთებელი ამბები თქვა ხალხმა ამ კრებაზე. მოვიყვან აქ ორიოდეს ნიმუშად.
>
> ერთმა ახალ-სოფლელმა გლეხმა თქვა: „გასულ ზაფხულში, როცა სანადელო ყანა მოვმკე, ვეახელ ბატონს და მოვახსენე, რომ მოურავი გამოეგზავნა და ძნა გაგვეყო. ველოდე ერთი დღე, მაგრამ არ გამოჩნდა; მეორე დღეს ნაშუადღევს ჩამოვიდა მოურავი, კაცი გულქვა და შეუბრალებელი. გავყავით ყანა, დავუდე ჩემს ურემზე და ამასობაში კიდეც დაღამდა. „ეხლავე წამოიღე ურემიო“ მომაძახა მოურავმა და თვითონ კი ცხენი გაქუსლა. რადგან ღამე ბნელი იყო და გზა ცუდი ილია ჭავჭავაძის კალომდე, შემეშინდა ურმის გაბრუნებისა და იმ ღამეს მაგიერ მეორე დილას წავიღე ურემი. ვიდრე მოურავი და ილია ჭავჭავაძე გამოიღვიძებდნენ, მე ურემი კალოზე მივიტანე, მაგრამ მაინც ვერ გადვურჩი მოურავის რისხვას და ლანძღვას. არ მიიღო ძნა, ბატონი აბძანდება და ის მიიღებსო. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ აბძანდა ბატონი ილია ჭავჭავაძეც, გამობძანდა ბალკონზე, დამჭყივლა და დამჭყივლა. მერე დამიწყო უშვერის სიტყვებით ლანძღვა: „ახლავე ეგ ძნა დააბრუნე და იქვე ჩაიტანე, სადაც დაუდე, როცა მოურავს დრო ექნება, ჩამოვა, ახლად გადმოითვლის და გაჰყოფსო.“ ბევრი ვემუდარე, ვეხვეწე, ეხლა დავთვალოთ, თუ ერთი თავ-თავი აკლდეს, თავი მომჭერი მეთქი; თუ ადამიანს არ იბრალებ, ეს უენო საქონელი მაინც შეიბრალე მეთქი, მაგრამ ამაოდ: ძნა ისევ იქ ჩავიტანე, დავცალე ურემი და ველოდე ერთი დღე, მეორე, მესამე, მაგრამ არ არის მოურავი. იქ ველოდე, მინამ ძნა საქონელმა არ დაშალა და არ გაათხრა.“
>
> „ამ ზამთარსა,—დაიწყო სოფელ გურამიანთ-კარელმა გლეხმა,—დიდი ყინვებისაგან წყალი, რომლითაც მთელი ოთხი თუ ხუთი სოფელი ვსარგებლობდით, გაიყინა. გაიყინა ისე, რომ მთლად უწყლოდ დავრჩით. სოფელს ზევით სამ ვერსზე ტყეში და მიუვალ ღელეში, ჭავჭავაძის მამულში, გამოდის პატარა წყარო, რომელიც ზამთრობით არ იყინება. დავიწყეთ ამ წყაროთი სარგებლობა; დაგვისია თავადმა მოურავები, ბიჭები და აგვიკრძალა წყლით სარგებლობა. თანაც გვითხრეს, ვისაც წყალი უნდა, იმან თითო სულ საქონელზე ათი შაური უნდა გვაძლიოს თვეშიო, და სასმელ წყალს მუქთად დავუთმობთო. იძულებული ვიყავით, დავთანხმებოდით; მთელი ზამთარი ვაძლიეთ ასე უცნაური ხარკი. ჩვენს სოფელში იყო ერთი ძალზე ღატაკი კაცი, ასე რომ ჩვენ—ღარიბებს გვყავდა ზურგზე აკიდებული თავისი ცოლშვილით. ერთ დღეს ამ კაცს აემსო ორი კოკა, გადააკიდნა მხარზე და მიჰქონდა სახლში. გზად გამოვლილი დაინახა ი. ჭავჭავაძის მოურავმა, გავარდა, სწვდა ყელში, დაუწყო ლანძღვა: რატომ თვეში ათ შაურს არ იხდიო. გლეხმა მიუგო: „თქვენ ათი შაური საქონელზე დაადგინეთ და მე კი კატაც არა მყავსო; ან ათი შაური ვინ მომცა, ეს ორი კვირაა, რაც [illegible] ლოგინიდან, ხომ იცი—სულ ავადა ვარ; ნათქვამია „წყალი მდევსა და გველეშაპსაც არ დაუჭერია“-ო და თქვენ ხომ ქრისტიანები ხართო. შენთან ბევრი ლაპარაკი არ ღირსო. ამ სიტყვებით მივარდა მოურავი საცოდავს და ორივე სავსე კოკა ზედ გადაამტვრია ნახევრად შიშველა გლეხს. ამ ამბავს ილია ჭავჭავაძე ბალკონიდან უყურებდაა, 400 მანათიან ქურქში გახვეული, გულიანად იცინოდა და თანაც აქებდა ერთგულ მოურავს: „ყოჩაღ, მემარნიშვილო, ყოჩაღ, ეგრე სუსხი უნდა მისცე, რომ თავზე არ წაგვასხდნენო“. უბედური გლეხი, ვიდრე სახლში მივიდოდა დასველებული, გზაში მთლად გაყინულიყო. მივიდა სახლში, მაგრამ იქაც კერა გაცივებული დახვდა უშეშობის გამო. გახდა ხელახლად ავად და ერთ კვირაზე გაათავა მრავალტანჯული და წამებული სიცოცხლეო“,—დაათავა გლეხმა ეს შემზარავი ამბავი. „ეჰ, რა გავაგრძელო, თავადიშვილი კარგი რა არი, ავი რა იყოსო“.

თუ რომ ცნობილი მგოსანი ასეთ ამბებს სჩადის გლეხებთან, მაშ საგურამოს სხვა მებატონეები რაღას იზამენ? ეს მკითხველისათვის მიმინდვია გამოსაცნობად... ნუ თუ ეს აღმაშფოთებელი ამბავი მართალია? ნუ თუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს მართლა ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან? ჩვენ არ გვინდა ეს დავიჯეროთ და გვირჩევნია ჯერჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თვითონ თ-დი ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენციის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებს.

* * *

რუსეთი

საერო განათლების სამინისტრომ საშუალო სასწავლებლების უფროსებსა და საერო სკოლების დირექტორებს ბრძანება გაუგზავნა, სასწავლებელში ყველა ახლად შემოსული მასწავლებელი დააფიცეთ, რომ ისინი **მეფის ერთგულნი იქნებიანო** (ო. ვ.).

◆ ამბობენ, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე—**ს. ვიტტე სამსახურს თავს ანებებსო** (რ.).

◆ ხმა დადის, ცნობილს მოსკოვის ერობის მოღვაწეს შიპოვს ამ დღეებში **მინისტრად დანიშნავენო** (რ. ვ.).

◆ იაროსლავის სამღვდელოებამ დაადგინა, **შეუერთდნენ პეტერბურგის იმ სამღვდელოებას**, რომელმაც ეკლესიის დამოუკიდებლობა მოითხოვა, და თავის უკმაყოფილება გამოუცხადონ „მოსკ. ვედ.“-ს რედაქციას, რომელიც კაცთა შორის მძულვარებას ემსახურება (რ.).

◆ პეტერბურგის 32 სასულიერო პირმა ეკლესიის დამოუკიდებლობა მოითხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ეხლა ამ სამღვდელოებას სინოდში თხოვნა შეუტანია, **მღვდლობა აღარ გვინდა** და გაგვანთავისუფლეთო. ზოგი გაუნთავისუფლებიათ კიდევაც. განთავისუფლებულთ გლეხის ტანისამოსი ჩაუცვამთ და სოფლად წასულან (რ. ვ.).

◆ 5 აპრილს პეტერბურგში სრულიად **რუსეთის ჟურნალისტები შეიკრიბნენ**. კრებას დაესწრნენ პოლონურისა, ფინურისა, ურიულისა, ქართულისა და სომხურ პრესის წარმომადგენელნი. კრების თავმჯდომარედ ერთხმათ ცნობილი პუბლიცისტი ანენსკი აირჩიეს, საპატიო თავმჯდომარედ—კოროლენკო. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ კრებას მიზნად სრულიად რუსეთის ჟურნალისტთა შეკავშირება აქვს აზრად. შემდეგ კოროლენკომ წაიკითხა მოხსენება პრესის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ. იმის შემდეგ ილაპარაკა ცნობილმა ისტორიკოსმა მილიუკოვმა, რომელმაც გადაჭრით განაცხადა: „უკანასკნელ დროს რუსეთში ათასი კავშირი შესდგა. კავშირებს **რუსეთის პოლიტიკური განთავისუფლება** აქვთ მიზნად. შეერთდნენ ლიტერატორები, ექიმები, ვექილები, ინჟენრები და სხ. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ისინი თანამედროვე მოძრაობას ცალ-მხრით ეხებიან. ამ მოძრაობას უფრო ახლო ლიტერატორები უდგანან. ჩვენ ჟურნალისტთა კავშირი უნდა შევქმნათ, მაგრამ ეს კავშირი ლიტერატორთა კლუბი კი არ იქნება, არამედ პოლიტიკურ მოღვაწეთა მძლავრი კავშირი, რომელმაც ეხლავე უნდა გამოარკვიოს, თუ როგორ უყურებს ჟურნალისტთა კავშირი: 1. თანამედროვე მაძრაობას, 2. დემოკრატიულ საკითხს, 3. სოციალურ საკითხს, 4. ნაციონალურ საკითხსა და 5. გამოვარკვიოთ, როგორ მოვიქცეთ, ე. ი. საქმეში როგორ ჩავერიოთ და მხოლოდ სიტყვით არ დავკმაყოფილდეთ“. კრებამ ჯერჯერობით ორი საკითხი მიიღო ერთხმად: 1. კანონდების უფლება ხალხის წარმომადგენლობას უნდა გადაეცეს და 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება, რომელიც დამყარებული იქმნება საყოველთაო (ორივე სქესისათვის და განურჩევლად ეროვნებისა), პირდაპირ და საიდუმლო კენჭის ყრაზე. მეორე კრება 6 აპრილს უნდა მომხდარიყო, მაგრამ რუსეთის გაზეთებში ამ კრების შესახებ არაფერი ისმის (რ. ვ.).

◆ „ვარშ. დნევ.“-ში დაბეჭდილია: ღამის ორ საათზე ქუჩაში სალდათ დუბონინითან სტუდენტი მივიდა, ასანთი სთხოვა და მერე დარიგება დაუწყო: **ხელმწიფესა და უფროსებს ყურს ნუ უგდებ**, არეულობის დროს ხალხს თოფს ნუ ესვრიო და სხ. სალდათმა ხმალი ამოიღო, სტუდენტი—ვოხმიანინი წინ გაიძღოლა და პოლიციაში მიიყვანა. სტუდენტი დააპატიმრეს, სალდათმა კი ერთგულებისთვის საათი და ფული მიიღო ობერ-პოლიცმეისტრისა და პოლკის უფროსისგან. მერე, რამდენისამე დღის შემდეგ, აი, რა გამოირკვა: დაჯილდოვებულ სალდათს უთქვამს სტუდენტის დაჭერის დღეს, **სოციალისტის დაჭერისთვის საჩუქარს გვაძლევენ** და ბიჭი არ ვიყო, თუ დღეს ერთი სოციალისტი არ დავიჭიროო. იმ ღამეს ქუჩაში სტუდენტმა სპიჩკა სთხოვა, მერე მადლობა უთხრა და წასვლა მოინდომა, მაგრამ სალდათმა დაიჭირა და პოლიციაში წაიყვანა.

სალდათი სოციალისტის დაჭერისათვის ეხლაც ატარებს საათს, სტუდენტი კი ციხეში ზის. ეს ფაქტი შემოწმებულია (რ. ვ.).

* * *

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით, ნება მომცეთ გავუზიარო საზოგადოებას მრავალთაგან ერთი უსამართლობა, რომელიც მე დამატყდა თავზე ექვსს ამ თვეს: მე ტფილისის სადგურზე უფროს მეისრედ ვმსახურებ. როგორც უკვე იცის საზოგადოებამ ამ თვის პირველ რიცხვებში სხვებთან ერთად გაიფიცნენ მეისრეებიც. მეც, როგორც მათმა ამხანაგმა, მუშაობაზე ხელი ავიღე. 6 აპრილს შუადღისას ჩაველ ჩემი ძმის ღვინის სარდაფში, ავჭალის ქუჩაზე, და ვსადილობდი სამ ჩემ ამხანაგთან ერთად. სარდაფში იყვნენ სხვა მუშტრებიც. უცებ ღვინის სარდაფს კაზაკები შემოერტყნენ, სარდაფში შემოვიდა აფიცერი და ყველანი, ვინც იქ ვიყავით, წაგვასხეს რკინის გზის სადგურზე, გაგვჩხრიკეს, აღკრძალული რამ ვერაფერი აღმოაჩინეს ყველანი გაანთავისუფლეს, ხოლო მე ჟანდარმების ოთახში წამიყვანეს და სამმა კაზაკმა იმდენი მცემა, ვიდრე გულშეღონებული ძირს დავეცემოდი. მერე შემოვიდა აფიცერი, წამაქცია და რამდენჯერმე ჩამკრა წიხლი, ამოიღო რევოლვერი და პირში ჩამჩარა: „მოგკლავ, თუ არ გამეცი, შენთან ვინ იყო იმ სარდაფში, რომელმაც თავს უშველაო“. საწადელს რომ ვერ მიაღწია, დასისხლიანებულ-დამტვრეული გამიტუმრა პოლიციის მეათე ნაწილში, საიდანაც გამგზავნეს მეტეხის ციხეში. ამხანაგების მოთხოვნით, ოთხი დღის შემდეგ განმათავისუფლეს. მე ჩემი ნაცემი სხეული ვაჩვენე რკინის გზის ექიმებს, რომელთა შორის ბ-ნი მუსხელიშვილიც იყო.

ყველაფერი, რაც აქ მოთხრობილია, შემიძლია სავსებით დავამტკიცო, და მე სულითა და გულით მსურველი ვარ, ამ წერილის გამო სამართალში მიმცენ და მრავალ მოწმეთა ჩვენებით ჩემი წამების ამბავი დამამტკიცებინონ.

ვთხოვ სხვა გაზეთებსაც—გადაბეჭდონ ეს წერილი.

ისაკ ალხანაშვილი.

* * *

ღამის დეპეშები

14 აპრილი.

ტოკიო. აქ ჰფიქრობენ, რუსის და იაპონიის ესკადრები 13 ან 14 აპრილს შეიყრებიანო. ხაკოდატედან დეპეშით იუწყებიან, ლაპერუზის სრუტეში ყინულის მთები დაცურავენო.

ციმბირის რკინის გზის გასწვრივ დამზადებული სურსათი ფუჭდება, რადგან თავის დროს ვერ გადაუტანიათ ომის ველისკენ.

იაპონელებმა რკინის გზა შეაკეთეს მანჯურიაში.

გონკონგი. ხაინანიდან ზღვაში გადებული სატელეგრაფო კაბელი, ამბობენ, რუსების გადაჭრილიაო. ერთმა წარჩინებულმა პირმა სთქვა, ინგლისი ველარ მოითმენს, რომ ბალტიის ესკადრამ ხაინანში ნეიტრალიტეტი დაარღვიოსო. ინგლისის ესკადრა გუშინ გონკონგის ახლო იყო.

ჰენანგი. მთავრობის მოხელეთა განკარგულებით, პორტის შესავლებს ღამე დარაჯობდნენ. ასე გაფთხილდებიან ამაღამაც. მალე მოელიან ბალტიის ესკადრას. მოსულ გემებს არც ერთი იაპონელების გემი არ შეხვედრია ამ მიდამოში.

მანილა. აქედან წავა სწრაფი გემი „კარლისლი“, რომელსაც სამხედრო მასალა მიაქვს ბალტიის ესკადრისთვის. ამ გემს პატრონებივე აფეთქებენ, თუ რომ იაპონელებს შეხვდა გზაზე.

პეტერბურგი. ოფიციალურად. უმაღლესის ბრძანებით, აღდგენილ იქმნა მოსკოვის გენერალ-გუბერნატორისა და მის თანაშემწის თანამდებობა, ამასთანავე მოსკოვში გრადონაჩალნიკის სამმართველოც დარჩება. გენერალ-გუბერნატორად უმაღლესის რესკრიპტით დაინიშნა კავალერიის გენერალი ა. ა. კოზლოვი. უმაღლეს რესკრიპტში აღნიშნულია, რომ გენერალ გუბერნატორის თანამდებობის აღდგენა გამოწვეულია მოსალოდნელ დიდმნიშვნელოვან ცვლილებით სახელმწიფოთ მართვა-განმგებლობაში.

მოსკოვი. დიდ მთავრის სერგი ალექსანდრეს-ძის მკვლელი პეტერბურგს წაიყვანეს. [illegible] კასსაციით განასაჩივრეს, რადგან განაჩენის გამოცხადების დროს ხალხი არ შეუშვიათ.

ოდესსა. გავანის ქუჩაზე რაღამაც იფეთქა და ერთს სახლს ცეცხლი წაუკიდა. მიზეზი გამოურკვეველია.

სევასტოპოლი. რუსეთის სანაოსნო საზოგადოებამ განკარგულება მოახდინა, რომ გემებმა სევასტოპოლსა და კავკასიას შორის იარონ, რადგან ოდესსაში გაფიცულობაა. ამასთანავე საზოგადოება სთხოვს მეზღვაურთა მთავარ-შტაბს—სამხედრო მეზღვაურები გაამწესოს საზოგადოების გემებზე, რომლებიც ყირიმ-კავკასიას შორის ივლიან.

პეტერბურგი. ბაქოს, განჯის, ნახიჩევანისა ს[illegible] და დაღესტანის მაჰმადიანთა წარმომადგენლებმა შინაგან საქმეთა მინისტრს პეტიცია მიართვეს იმის შესახებ, რომ საერო კრების მოწვევის დროს კავკასიის მაჰმადიანთა წარმომადგენლებიც მიიწვიონ.

დროებითი რედაქტორი ფ. **გოგიჩაიშვილი**.
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი**.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რ[illegible]ისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № (3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 6[illegible] ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლღას ქუჩაზე, [illegible]
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ წლის 25 აპრილს, შუადღის 12 საათზე, **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა** ქალაქის ადგილის იჯარით გასაცემად, ზომით 600 ოთხ-კ. საჟ.; ეს ადგილი იმყოფება ქალაქ ტფილისში, პოლიციის მე-10 განყოფილებაში, ტფილისის დამო[illegible] საწყობის პირდაპირ. პირობების განხილვა მსურველთ შეუძლიანთ ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9½ საათიდან 2½ საათამდე, ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში.

(3—2)

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
◆ „შრომა“ ◆
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 16 апрѣля 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.